პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი

№ 74 კვირა, 14 ნოემბერი 1926 წ. № 74




ამხ. ტარტაროზი („ტარტაროზი"-ს ორი წლის თავის გამო)

# „ტარტაროზი“-ს ორი წლის თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოდ თავისთავზე წერა და თავისთავის შექება ჩვენში „ყანწელების“ გარდა სხვებსაც ეხერხება, მაგრამ მე ამ თვისებას მოკლებული ვარ. არასოდეს არავინ შემიქია, და ეს იმიტომ კი არა, რომ ქება არ მეხერხებოდეს... (ხუთიოდე დასაფლავებას და ასიოდე იუბილეს დავსწრებივარ; ასე რომ ადამინის შექებას კი ვისწავლიდი)... მაგრამ საქმე იმაშია, რომ შესაქები ვერავინ ვნახე და ტყუილ-უბრალოთ, როგორც ეს გამგეობის წევრებს სჩვევიათ, ხომ ვერ შევაქებდი!? ისე ყველასთან მადლობელი ვარ, რომ შესაქებ საქმეს არ აკეთებენ. ვინ იცის—რომ გაეკეთებინათ, იქნებ ვერ შემეძლო ფართო საზოგადოების წინაშე მათი შექება, როგორც ეს ხშირად ემართებათ ორატორებს, როცა ტრიბუნაზე ავიწყდებათ წინლამით ლოგინში დაზეპირებული სათქმელი სიტყვა.

ამას რომ თავი დავანებოთ, ხალხური ანდაზა მაინც არ უნდა დავივიწყოთ:—**თავის ქება კიტრად,—კიტრი კაპიკად-ო** (ალბად კიტრი მაშინ იაფი იყო). მართალია: კიტრი ეხლა ძვირია და ზოგს, რომელიც თავს იქებს, არც კი ეწყინება ასეთი შეფასება, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში კიტრს კაპიკადაც ვერ დავაფასებთ, რადგან კიტრმა კინაღამ იმსხვერპლა ჩემი ერთად-ერთი მეუღლე, რომელმაც, როგორც ფეხმძიმე ადამიანმა ერთ საწვრილმანოში იყიდა ნახევარი კილო მჟავე (ბოჭკაში დამჟავებული) კიტრი, როგორც თვითონ სთქვა, „პირის გასაკეთებლად“. შესჭამა და.... და, პირი ხისკენ მიქნია, ისე ასაქმა, რომ კინაღამ პირიდან მოალოგინა.... როგორც გამოირკვა: კიტრთან ერთად თაგვებიც „ჩაემჟავებინათ“ ბოჭკაში.

მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ძალიან მოკლედ აღვნიშნოთ ჩემი ამ ქვეყნად მოსვლის მიზეზი.

თქვენ ალბად ყველას გემახსოვრებათ, რომ „ტარტაროზი“-ს პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წელში 16 ნოემბერს; (და იყო დღე იგი მაშინ კვირა), სწორედ ოქტომბრის რევოლიუციის შვიდი წლის თავის დღესასწაულის ცხრა დღის შემდეგ. ამიტომაც გასაკვირი არ არის, თუ წელსაც ჩვენს ჟურნალს შეუსრულდა ორი წელიწადი ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლის თავის დღესასწაულის ცხრა დღის შემდეგ.

მახსოვს (ეს იყო 1917 წლის ოქტომბერში) აურაცხელი ხალხი მოდიოდა ამ ქვეყნიდან განდევნილები რომლებიც თავშესაფარს ჩემთან ნახულობდენ ჯოჯოხეთში. თურმე ამ ქვეყნად ოქტომბრის გადატრიალება მომხდარიყო და ამიტომაც ყველა ჯურის მავნე ელემენტები გამოედევნათ. ცხადია: ქვაბების ჩვეულებრივი რიცხვი აღარ კმაროდა და მე მომიხდა აუარებელ ქვაბების შეძენა. დიდი მუშაობა დატრიალდა ჯოჯოხეთში. ერთი წლის განმავლობაში ყველა ჩემი ქვეშევრდომები ისე დასუქდენ, რომ თითოეული მათგანი 10—15 ფუთს იწონიდა.

გადიოდა დრო და ჯოჯოხეთში უფრო და უფრო მეტი გადმოხვეწილები მოდიოდენ. თურმე ოქტომბრის რევოლიუცია ფრთებს შლიდა და ვრცელდებოდა დედა-მიწის ერთს მეექვსედზე.

შემდეგ „მუშა“-ს დაბეჯითებით თხოვნით და გაპირებით მე წამოვედი ამ ქვეყნად.

კარგად მახსოვს ჩვენი საუბარი:

— ამხანაგო ტარტაროზო,—მეუბნებოდა „მუშა“—მართალია: ცხოვრების ყველა პარაზიტებს, მუქთახორებს და მშრომელთა მტრებს ყველას გამოგიგზავნით ჯოჯოხეთში, მაგრამ უკეთესი იქნება, რომ თვითონ შენ მოხვიდე და ხელი შეგვიწყო ქვეყნად მათ გაწმენდაში.—

მე სიამოვნებით დავეთანხმე... და კიდეც წამოვედი.

პირველ ხანებში ვფიქრობდი, რომ ჩემი აქ ყოფნა მხოლოდ დროებით იქნებოდა საჭირო, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყნად ისევ ბევრია და ისე უჩინრად გაბნეულია ყველა სახის შავი ელემენტები, რომ ჩემი დარჩენა მუდმივად აუცილებელია და თანაც მეტად საჭირო. თუ გინდაც გავსწმინდო ეს ქვეყანა მავნეებისაგან, მე შემდეგში არა ნაკლები საჭირო ვიქნები, რადგან ბრძოლა გადახდილ და გამარჯვებულ მშრომელს როცა იგი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგება, სჭირია მხიარულება, რომლის მომცემი მე ვარ.

ორი წლის განმავლობაში უკვე შევქენი თითქმის სრულიად ახალ ძალებით ტარტაროზკორებისა და ტარტაროზ მხატვრებისა ძლევამოსილი არმია, რომელიც ყოველ წამს მზად არის ჩემს ერთს დაძახებაზე ფეხებზე დადგეს და სოდომ-გომოროად გახადოს მტრის ყოველგვარი შემოტევა თუ თავის წამოყოფა.

ჩემი ლაშქარი მშრომელი მასის პირმშო შვილია. იგი მზად არის ემსახუროს მშობელს და ამაყად ეჭიროს ხელში წითელი დროშა.

ჩემს აქ მუდმივად დარჩენას თხოულობს აგრეთვე ხალხის ჩემდამი სიყვარული. უნდა ითქვას, რომ თვითონ მე არ მოველოდი, თუ ყველას ასე შევუყვარდებოდი. დღეს „ტარტაროზს“ კითხულობს ყველა შეგნებული მოქალაქე: მუშა იქნება ის თუ ინტელიგენტი, ქალი თუ კაცი, პროფესორი თუ მოწაფე. წარმოიდგინეთ თქვენ, რომ ასეთი შემთხვევაც არის, როცა ერთი მეორეს ეუბნება დაცინვით:

— შენ რა კაცი ხარ—„ტარტაროზი“ არ გაქვს გამოწერილი და არ კითხულობ?? ჯერ კაცთა რიცხვში ჩაიწერე—„ტარტაროზი“ გამოიწერე და მერმე გაგელაპარაკები.—

და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

იმედი მაქვს ეს სიყვარული მუდმივი იქნება, რადგან ნორჩი თაობა „ტარტაროზი“-ს გარშემო იკრეფს თავს. სანიმუშოდ მოგვყავს პატარა **თეიმურაზის** ლექსი:

ჩემი ოცნება თავს დაგტრიალებს,
მსურს არასოდეს არ გაგეყარო...
წითელი დროშა მაღლა ფრიალებს...
უნდა გარდავქმნათ ძველი სამყარო.

მე გამოგყვები ბრძოლაში მარად
და გაჭირვებას მივიჩნევ არად.

მასწავლე, მომეც შენ დარიგება
რომ ვემსახურო მე მშრომელ ხალხსა
მტერს არ ვაკმარებ რაც მან იგემა,
კვლავ შემოვახვევ მის იმედს თალხსა.

დღეს ახალგაზრდა არის რომელი,
რომ არ უყვარდეს მუშა, მშრომელი.

და როცა ვხედავთ, რომ მებრძოლთა რაზმი უფრო და უფრო მტკიცდება და ჩემს არმიას ემატება ახალი რიგები,—მეც მზად ვარ ვემსახურო განახლებულ ცხოვრებას. „ტარტაროზი“-ს შემდეგ წლის თავზე ჩვენში არ უნდა დარჩეს არც ერთი მავნე. ამას ჩვენ შევასრულებთ.

**ტარტაროზი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალბატონი პროტექცია



ყველა იცნობს ქალბატონს გამგეები, სპეცები.
მის წყალობით შოულობს ადგილს ბევრი ბეცები,

მისი ნაზი სალამი და გადაკრა თვალისა
არის მომკიდებელი გულზე ცეცხლის ალისა.



აქ გამგესთან მოსულა... უკვე გადის საათი.
არ სრულდება ჯერ კიდევ მუსაიფი ამათი.

როგორც სარი დამდგარა კარზე მცველად შიკრიკი...
არ ლებულობს ჯერ გამგე.. ემატება რიგს რიგი

# ო-ხო-ხო-ია მრავალ-ჟამიერ

ალარაფერი დარჩა ამ თავში.
(ან როდის იყო ჭკუა შიგ ნეტა!?)
ამდენმა წერამ გამაჩერჩეტა—
მოხუცი კაცი კვლავ გავხდი ბავში.
ახლა ვიწამე მე შტაინახი
და ეს ამბავი ჩე  ა ახი
ჰო-და თავია ჩემი ფუტურო;
რამდენიც სცემო მას დიდი ურო—
ისევ დარჩება, არ შეიცვლება
(ცოტა სიცილი აქ შეიძლება)
ჭკუა გოგრაში არ არის სველი...

ვარ გამფლან
მე ჩემი ჭკუის 

როგორც მებრძოლსა მე არ მყავს ცალი;
უნდა შევაქო რევოლიუცია...
(ბევრი პატივი ჩემთვის უცია).
მკერდი მაგარი არის კლდე სალი.

მაგრამ შემთხვევა მე  სტროფა
ვილაცამ სარი თავზე მე მროფა.
აქ შეგიძლიათ თქვენ გაიცინოთ
და არხეინად დაალიღინოთ:

ო-ხო-ხო-ია მრავალ-ჟამიერ

როცა ეძინათ ჩრდილოში ტ
უზერიებდენ მსახურნი ბ უზებს
ჩვენ ბოდიშს ვიხდით ბუზებთან, რომ მათ
რითმებისათვის ვაწუხებთ ბლომათ.
(ვაჰხ! სად ერეკლე, სად ეთკლე?!?)
ასე ამბობდენ:—ჩვენ გვქონდეს ჯანი
და თკვენ კი ღვარეთ სისხლი, ოფლიო...

ველარ მივარვით მათ 

და აყირავდა ძველი მსოფლიო.
დამაგრდით ფრთხალნო! რად მოიწყინეთ?
ეს იყო მაშინ—ცხრა წლისა წინეთ?
გაქრა ცხოვრება თაფლივით ტკბილი
ან უფრო სწორად—შოკოლადივით
გენერალს შუბა გახადეს თბილი;
ჯარის-კაცის წინ წარსდგა მჭადივით.
(ესეც რითმისთვის...) პურს მიჯობს მჭადი

მით უფრო, როცა თან ახლავს 

ჩამოუშვეს ყური და ს 

(ეს ნიშანია კი იცით რისი)
მოსახვევში დგას ეხლა და ჰყვირის:
„პაპიროსი და ტკბილი ირისი“
დაცინვით ულევს ხელს ქუჩის ბავში:
„ხომ ამოგიღეს შენივე ტყავში!?
იცოდე შველა არ გაქვს ამიერ“...
ო-ხო-ხო-ია მრავალ-ჟამიერ

სიმსუქნისაგან სკდებოდა ჭიპი...
დღეს კი ჩუტია ვაჭრების ღიპი.
იმათ სავაჭროს პირდაპირ წინა
წამოუჭიმეს
კოოპერა 
და იმიტომაც ისეა ცივი
როგორც ყინვა და, თუ გინდა, რაინა.
აი: დღეს. ხვალ. ზეგ. იმ კვირას. იმ თვეს.
წრეულს. გაისად. ადრე თუ გვიან.
ასე თუ ისე. ეს სულ 1 ა

თუ კი შემბრალე ჩვენი  ა

გავრეკთ. გავდევნით. ჩავქოლავთ ქვითა.
ჩვენ ქუდს მოუხდით და ვეტყვით:—ქვითა.

მაგრამ რას ხედავს იმათი 

ედება ყველგან წითელი ალი.
იმედი ისევ თავდება მარცხით—
რევოლიუცია სულ მიდის მარცხნით.

 საძაღლე არ უცდის პირში.

(ალბად ენას აქვს ბლერის ქავილი).
და ამიტომაც ჩავარდა ჭირში—
ჩეკიდან ისმის მისი კნავილი.
მან როგორც იქნა ისწავლა ჭკუა:

და, დამშვიდდა „მებრძოლი  “

ოღონდაც ჰქონდეს მას პურის ყუა...

ენას დაადვა დიდი 

გულში დაგუდდა სევდა და გლოვა

 , დრო აწი არ მოვა.

მეც არხეინად ავალ და დავალ

ო-ხო-ხო-ია ჟამიერ-მრავალ.

ჰინჭარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ესეც შენი პაემანი“




შუაღამეა და მიჯნური არ სცილდება სატრფოს კარებს...
ფიქრს რომ სატრფო აღარ მოვა ის თავის გულსარ აკარებს...
მაგრამ გული მიდის, დნება ამდენი ხნით ცდა-ლოდინში
და სატრფოს კი უდარდელად სძინავს ტკბილად თეთრ ლოგინში.

# ფარსადნის გრალია

(საქოს „დრუჟნი ბესედა“ დონთან)

— გებნები, მეტის მოთმენა აღარ შამიძლიან, ბრაზისგნით გული კოლოტივით გამსიებია და საცაა ეპლეპჩესკი პრიპადკა მამივა... ვა,ახარ ამტოლი ტერპენია იობსაც არ უქნია და,—ჩემაზემ რომ არ მეშინოდეს, რამეს უზამდი რაღა, ერთი კარაკულივით სილაქში გამოვიყვანდი და მერე თუნდაც ვეჩნი კატრეჟნა მეეცათ ჩემთვისა... ჰამა მეშინიან რაღა, ერთი კლაუზნიკი ვინმე ყოფილა, პოლიციას და სუდებნი სლესტვიასაც აღარ დასჯერდება და პუპუზ, ისევ ტარტაროზში ჩამაგდებს თავისი ჰარიქატურებითა. მერე მოდი შენდა კიდევ გამოყავ სადმე ამოსაგდები თავი...

ფარსადანზე გებნები... ეგ ბემურაზი კბილის მატლათ გამიხდა რაღა, ზაჰლა წამართო, ჩემი ოჯახის ზაკულისნი ტაინები ქვეყანას გააგებინა, მთელი ჩემი რამანიჩესკი პრიკლუჩენიები ტროტროზე გაიტანა და ხალხის პირში ჩამაგდო! ამას კიდევ ჯანი გავარდეს, ჩემი სინტერესი აქვს, თოლ ჩემთან რაც უნდა ქნას, ამ ჩემ ცოლს რაღათ უშვრება ისემესა, აბიდას რათ აჭმევს და? ვა ჰაკარაკი ვინმე ყოფილა რაღა, მაგაზე არც პურმარილი სჭრის, არც ტკბილი სალამი, არც ნათელ-მირონობა; თუ ერთი ბეწო ფეხი წაგიცდა, მორჩა—კვირა დღეს ტარტაროზში ჩავარდები... ახარ როდემდის? ტერპენია აღარა მაქვს, გებნები პირდაპირ ჩიხოტკაში ჩავარდნილვარ მეთქი, ერთიც იქნება გავჯავრდები ჰაა, მაშინ კი ატვეჩაი აღარ ვიზამ.

ნუ, მახლაზ, ჩორთ სნიმი, თითოც დავლიოთ, მირონივით ღვინოა, ჰამაც ზაბვენია გვიზამს... ეს იმ ხიდს გაუმარჯოს, რომელიც რომ ხიდი მაგრა იდგეს, ჰამა ფარსადანმა რომ გაიაროს, სზრაზუმათ ჩატყდეს რაღა,—მტკვარში ჩავარდეს—უთხრას თუ: ყურუმსაღ, ეს ჩრეზმერნი მშჩენიაა საქოს მახსარათ გაკეთებისათვისაო....

ჰო, ხიდზე მამაგონდა, ამ ფარსადანის გამოისობით კინალამ ჩემმა ცოლმა შუშანამ თავი არ დაიხრჩო... ღმერთმა უშველოს იმ ზაგესის მამგონს, რომ იმ დღით მტკვარი ასტანოვკა უქნიათ და წყალი აღარ მოდიოდა თორემ, შუშანას დახრჩობა ნეპრემენი საქმე იყო. არ გაგიგია?—მაშ თავიდან გეტყვი:

საქმეებში შესული კაცი ხარ, ალბათ ნაზლუდენია უშვრები თუ ეგ ზემურაზი ფარსადანი როგორ მტრათ გადამეკიდა: მთელი ჩვენი სმეშნი მხარეები ქვეყანას გააგებინა რაღა, მახსარათ გაგვაკეთა. ასობენათ მე მამდგა და და რაც კი რამე გადამხედია, ყველაფერი ტარტაროზში ჩამიგდო. ერთი საიდუმლო მქონდა, რამანიჩესკი პოჩვაზე მომხდარი კამფლიქტია რაღა, ჩოდარ გიგუას ნაქვრივალ ვარინკასთან... ნუ, სლუჩი მამიხდა რაღა და ბოლოს საქმე ალემენტებით გათავდა... ვფრთხილობდი, შუშანას ყურში არ ჩავარდნილიყო ეს ამბავი...




ნუ, მახლაზ, ჩორთ სნიმი, თითოც დავლიოთ...

ჰუზურში ამ ზემურაზ ფარსადანს არ გაუგია?... დაუწერია პადრობნათ და შუშანასათვის! შამოუთვლია თუ ჰაა, საქმე ასე და ასეა და ტარტაროზში ვაგდეფო. თანაც ყველა დაკუმენტის კოპიო გამოუგზავნია! შუშანას პირდაპირ ეპლეპჩესკი უდარი მოსვლია, დიდი ვალნენია გაუკეთებია და ბოლოს თავის მოკვლა გადაუწყვეტია—მაშ!.. დაუწერია დიდი ჩუსტვიტელნი წერილი თუ: „საქო, შე ფიცის გამტეხო, ეს რა იზმენიტი გიქნიაო, მე დღედა ღამე შენს სიყმეს ვიფიცავდი, რაც ცხოვრებაში კარგი სტარანებია, სულ შენთვისა ვშვრებოდი და შენ კი თურმე სხვაზე მცვლიდი და ლუბოვნი სვიაზებს აზამდიო. ამის შემდევ მე უტეშენია აღარ მექნებაო, თავს აღარ ვიცოცხლებ და პირდაპირ მტკვარში დასახრჩობათ მივდივარო. ელბაქიძის ხიდიდან უნდა გადავარდე და თუ ჯიგარი კიდევ შაგრჩენია, ჩქარა მამეშველეო“.

მეზობლის გოგოს ხელით კანვერდი ჩემთვის დუქანში გამოუგზავნია და თითონ კი წასულა მტკვარში გადასავარდნათა.

ვა, რომ წავიკთხე პირდაპირ სტალბნიაკი დამეცა, ფილენჯი დამემართა, ჰელეთმელეთი მომივიდა... საშველათ მინდა გავიქცე, ჰამა ეს ელბაქიძის ხიდი რომელია, არ ვიცი, ამ ზემურაზმა ბალშევიკებმა ხომ ყველაფერში დავთრები არიეს, ქუჩას-ქუჩის სახელი აღარ შეარჩინეს და ხიდს—ხიდისა. დავდექი და ვფიქროფ: რომელი უნდა იყოს ეს ელბაქიძის ხიდი მეთქი. ნახოდჩივი კაცი ვარ და ბოლოს ისევ რაზუმენია ვქენი, ადრესნი სტოლში გავიქეცი და ვებნები თუ პაჟალუსტა კნიაჟნა, ერთი მითხარი ელბაქიძის ხიდი საით არის მეთქი. იმან ამხედ-დამხედა და მებნება თუ:

— ვა პერვიხ, დავნო ვაში კნიაზოვ i კნიაჟნაჲ ჩორნი მორე ბროსილი, მეორეც ისა, თუ კითხულოფ, პისმენი ზაიავლენია უნდა შამოიტანოთ. ვეხვეწები:

— მადამ, პაჟალუსტა, აქ სპეშნი საქმეა, ქალი იხრჩობა, პატარა სპრავკა მინდა და როგორმე ისე, უსტნათ მამეცი მეთქი. ბან ჩუნის! არა ქნა. ახლა გავარდა გარეთ, პრაშენია დავაწერინე და მიუტანე. წაიკითხა და მითხრა თუ:

— ასეთი ხიდი მართალია სადღაც არის, ჰამა ადრესი არ ვიცითო, ჩვენ აქ იმათი ადრესები გვაქვს, ვინც დამავოი ყნიღაში სწერიაო...

— მაშ რა ვქნა მეთქი?

— თუო, მილიციის უჩასკაში იკითხე, იქ ეცოდინებათო.

უჩასკაში დიდი წვალების შემდეგ გავიგე რომა, თურმე ელბაქიძის ხიდი ვერის ხიდსა რქმევია... ჩავირბინე დაღმართი, ვიყურები ამ ხიდის ნაპირზე შუშანა არც მკვდარი და არც ცოცხალი არსად სჩანს. თანაც მილეთის ხალხი იქ მოგროვილა. წავიშინე თავში და ვღრიალეფ თუ, ნეპრემენათ დაახრჩობდა და თან წაიღებდა მეთქი. ხალხი შემომეხვია და მეძახიან თუ:—ახმახ, ვის დახრჩობდა, რა დახრჩობდა, დღეს აქეთ მტკვარს არ ჩამოუვლია, ზაგესში ასტანავიტი უყვეს და თევზები წყურვილით იხოცებიანო!

ვა, ჩავიხედე, მართლა მტკვარიც არსად არი!.. ვიწერ პირჯვარს, სუფსარქისის სახელს ვახსენებ, სამხვთოს ვპირდები... გავრბივარ სატივოსკენ და ვხედავ შუა ადგილას, სადაც მტკვარი დამშრალა, ქვებზე ზის შუშანა და ნამტირალევი თვალებით ჩემსკენ იყურება. მივარდი, ვკოცნი, ვეხვევი და ვეკითხები:




— შუშანჯან, ეგ რა ბეზუმნი რეშენია გიქნია, აქ რას უზიხარ მეთქი!

— თუო თავს ვიხრჩობ და მტკვარს ველოდები, როდის ჩამოივლის, რომა უტანუტი მიყოს და თან წამიღოსო. ვეხვეწები:—შუშანჯან, ჩვენი ჯეჰელობის ცოდო-მადლი მაიგონე, ხელი აიღე დახრჩობაზე, მაჩუქე შენი თავი, ყველაფერი ფარსადანის მოგონილი კლევეტაა, ჩვენში ჩორთის ჩაგდება უნდოდა მეთქი, რომა მერე შენთან ინტიმნი სვიაზი ქნას მეთქი.

ჭკვაში მოუვიდა ჩემი ნათქვომი, ადგა და წამომყვა. გადარჩა რაღა, სლუჩაინათ გადარჩა, ჰამა, შიშის პოჩვაზე ავათ გამიხდა, ნერვები დაუსლაბდა და ფსიხოპატიჩესკი დოხტურებთან დადის ლიხტრიცკი ლეჩენიას უკეთებენ.

— ახარ ეს ყველაფერი მაგ რაზბონიკ ფარსადანის ბრალია, მაშ მაგას შევარჩენ?.. ერთი პაჟალუსტა შენ როგორც ხუდოჟნიკი კაცი, ჩემზე ერთი-ორი კარგი სიტყვა უთხარი იმ ტარტაროზის ლედეხტორსა, უთხარი არაფერი დაუჯეროს მაგ ფარსადანსა, ყველაფერი ტყუილია უთხარი, პადრობნი პისმენი ზაივლენიას გამოგიგზავნი უთხარი... აბა თითოც დავლიოთ! ესეც როგორც ნათქვამია რაღა, ღმერთმა გაუმარჯოს იმ მთვარესა, რომელიც რო მთვარე—ბნელ ღამეში გზას გაგვინათებს და გვეტყვის.— ჰაა, სედრაკ, აქეთ გაიარე, იქით ხრამია, გადავარდებიო.

**ფარსადან.**




როცა საქომ თავის თავი „ტარტაროზ"-ში დაინახა,
ბრაზი ყელში წამოაწვა და მუქარით დაიძახა:

— არა! მეტს მე ვერ მოვითმენ.... ტარტაროზმა დამაქცია,
წავალ უნდა ავაფეთქო „ტარტაროზი"-ს რედაქცია...




ფეხი წაჰკრა ქუჩაში ქვას ზაჰესისთვის მონათხარსა;
შიგ ორმოში ჩაიკეცა, ველარა სწევს წელს და მხარსა...

ძლივსა-ღა ამბობს:—მე ეს ხათა ტარტაროზმა მიყო ალბად
სანამ სხვები იცინოდენ, საქოს ბრაზი მოლხვა, დალბა.

# ალამი





# მსალმება

დღეღამსწორის, ქვეყნის
გაღვიძებადღეთ
დღესასწაულის
ცხრა წლისა თავი.

ჩვენ ვზეიმობდით
და ვნეტარობდით...
ხოლო სტიროდა
ბევრი გულშივე.

დღეს იტირის
და არ შეაშრის
ორთავ თვალებზე
მას ცხარე ცრემლი.

ან რას დაგვაკლებს...
ჩვენს ხელში არის
ბედის გამჭედი
ქურა და გრდემლი.

ჩვენ წინ მივდივართ,
ვიმარჯვებთ ყველგან,
ვიპყრობთ სუყველა
მაღალ მწვერვალებს.

მალე იქნება,
რომ ჩვენს მტრებს ყველგან
ჩვენ გავუსწორებთ
ცოდვებს და ვალებს.

[illegible]

და ეს მიტომ, რომ
თეთრმა ჯაილებმა
დამალის გული
ბოროტი, შავი.

თავის მტრულ ხელით
სურს წყლის ამღვრევა,
რომ დაიჭიროს
შიგ თევზი რამე.

ახალ ქვეყანას
უცხურის მტრობით
და ჩვენ მზიან დღეს
ურჩევნის ღამე...

და მათან ბრძოლა,
ჩვენო ლაშქარო,—
იყოლიეთ კარგად,
თქვენი ვალია.

ამიერიდან
თქვენ კიდევ უფრო
უნდა გვჭიროთ
ფხიზლად თვალია...

ვუძღვნით მადლობას,
ვიწონებთ, ვაქებთ
ორი წლის თქვენსა ღვაწლს,
შრომას და უნარს...

გისურვებ ყველას—
სამი წლის თავზე
რაც რომ ნაკლი აქვთ
ეხლა ჩვენს ქვეყანას

— ერთიც არ ჰქონდეს...
და ეს იქნება
თუ ძირს არ დაშვებით
ჩვენ დროშა-ალამს...

მაშ ასე, წინ... წინ...
შრომა და ჯაფა
და არ შეაშროთ
მელანი კალამს.

ტარტაროზი.



# „რატატა“

ვერ უყურებთ „რატატა“-ს,
ჩუმ-ჩაირა ჩაირა...
გადამკიდა რა ხათას?
აი, რა?!
თავის ტეხა გამიხადა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
სახლში ცოლი ამიტყდა...
აი, რა?!
მოაქვს ჩემზე „ატაკა“:
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
„რატატა“!.. და „რატატა“!..
აი, რა?!.
ვებნები, თუ, შუშიკა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
შეაჩერე მუსიკა!..
აი, რა?!
ის კი—ძალლო, ცინდალო!
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა
მე „რატატა“ მინდა“-ო!..
აი, რა?!.
—შუშიკ, დუშკა, ნეშუმი!..
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
გიყიდო აბრეშუმი...
აი, რა?!.
ის კი—გეო, ნე დური!
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
„ურატატოთ“ გემდური,
აი, რა?!.
ჩავყე ხელი კასაში,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
ეწყო პაჩკათ ას-ასი,
აი, რა?!.
შევიძინეთ ბილეთი,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
იდგა ხალხი-მილეთი...
აი, რა?!.
მე და შუშიმ „რატატა“,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
ვნახეთ თავის ხათათა!
აი, რა?!.
ვიცი, მოვა ატაკაც!..
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა...
„რატატა“ და რატატა“!..
აი, რა?!.

ციც!

ამერიკა გერმანია-საფრანგეთის დაახლოვების პოლიტიკას სთვლის მისი ინტერესების წინაამდეგ მიმართულ პოლიტიკად.




—რიხარდ, შენ თუ ბევრ ეშმაკობას დაიწყებ ჟანასთან, მაგ სათამაშოებს უკანვე წავილებ.

## დაუმთავრებელი წერილი

შუაღამე იყო.

ესე იგი, ის დრო, როცა პატიოსან ხალხს პატიოსნად სძინავს ლოგინში, ხოლო არაპატიოსნები და ქვეყნის ამაფორიაქებული მაგიდას უზიან და ლამფის მკრთალ სინათლეზე რაღაცას სჩმახავენ, თუ „დანოსს“ არა, საიუბილეო წერილს მაინც.

გარშემო სიჩუმე სუფევდა.

აღებული თემა იყო დაბადებიდან „ტარტაროზის“ ორი წლის შესრულების შესახებ, მაშასადამე მეტად პასუხის საგები და არც ადვილი.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დავწერე ასე:

„როდესაც ჩვენ ამ ძვირფასს და დაუვიწყარ დღეს ვდღესასწაულობთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ორი წელი არც ისე მცირე დროა. დროის ხანგრძლივობა და ხანმოკლეობა ეს მხოლოდ გამოვნების, სიყვარულის და ხნიერების ფუნქციაა. თუმცა კალენდარს თუ მივხედავთ, ორი წელი ეს მხოლოდ ორი წელია, არც მეტი, არც ნაკლები. მაგრამ ყველა თქვენგანმა იცის, როგორ დაკარგა, ძველ დროსთან შედარებით, კალენდარმა თავისი პირველყოფილი ავტორიტეტი და გავლენა, და მასზე დაყრდნობა უსუსურ იდეალისტს თუ შეუძლია დღეს.

მაგალითად რვა ნოემბერი კალენდარში წითლად იყო ნაჩვენები, ნამდვილად კი შავად იქმნა ჩატარებული სამსახურში.

კიდევ და კიდევ ვამბობთ, რომ ორი წელი ეს ისეთი ხანია, რომლის“...

ამის შემდეგ მე მსურდა მეთქვა, თუ რამდენად დიდი ხანია ორი წელი, მიმელოცა იუბილიარისათვის ეს ღირშესანიშნავი დღე, მეთქვა რომ კიდევ ბევრს დასწრებოდა ასეთს, რომ უეცრად გაიღო კარები და, ყოველ გაფრთხილების გარეშე, ვიღაც სქელი კაცი შემოიჭრა ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვერც კი მოვასწარი კარებში შევხვედროდი დაუპატიჟებელ სტუმარს, რომ ის უკვე დივანზე იჯდა და შემომჩერებოდა.

— ვინ ხართ თქვენ?—წყრომით მივმართე მას.—რა უფლებით სარგებლობთ, რომ ამ შუაღამეზე არღვევთ პატიოსან მოქალაქის ბინის ხელშეუხებლობას და ხელს უშლით მას მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების დროს!?..

ძან გაიღიმა, ამოიღო ჯიბიდან სადარბაზო ბარათი და მომაწოდა.

მე წავიკითხე და გადავიხარხარე:

— ნუთუ, თქვენ გგონიათ, რომ მჯერა ამ ნაგლეჯ ქაღალდის? მე კარგად ვიცი, რომ აქ ნაჩვენები სახელი პიროვნება არ არის. ის ჯგუფია, და რაც უნდა სქელი იყოთ, თქვენ მაინც არ შეგიძლიანთ წარმოადგინოთ ეს ჯგუფი...

— მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც ფაქტის წინაშე დგეხართ!—მკვახეთ მიპასუხა მან.

მე სასოწარკვეთილებით გადავხედე დაწყებულ წერილს.

ნათლად ვხედავდი, რომ წერილი იღუპებოდა, რადგან დილისათვის ის მზად არ იქნებოდა და მაშასადამე იღუპებოდა გონორარი და მიცემული სიტყვა.

— თქვენ, რაღაცას სწერთ მგონი, მომმართა სტუმარმა, ალბად დანოსს...

— რისთვის მაინც და მაინც დანოსს?..

გავბრაზდი მე. მე ვწერდი წერილს „ტარტაროზი“-ს ორი წლის თავის შესრულების შესახებ, თქვენ კი ასე დაუკითხავად შემოიჭერით აქ და ხელს მიშლით ეხლა!..

— პირიქით, მე მინდა რამენაირად დაგეხმაროთ კიდეც... მე ვხედავდი, როგორი დაღლილი იყავით თქვენ და ძილი გერეოდათ... თუ ნებას მომცემთ გადავიკითხავ...

მე ხმისამოუღებლივ მოვშორდი მაგიდას და იმედ დაკარგულმა ოთახში სიარული დავიწყე.

მან გადაათვალიერა ნაწერი, შემდეგ მკაცრად შემომხედა, შემდეგ გულმოსულად დაჭმუჭნა წერილი მუჭაში და კუთხისაკენ გადაისროლა...

— როგორც ვხედავ, თქვენ მხოლოდ ქებით გსურდათ აგევსოთ ეს წერილი...

— შეიძლება... ამაში დასაძრახი არაფერია...

— მე გთხოვთ, რომ ეხლავე შეუდგეთ მეორე წერილს, სადაც ქებასთან ერთად ნაკლულოვანებაც მოიხსენიოთ ხოლმე, რა უბედურება იქნებოდა, რომ ყველა, მტყუანი და მართალი ქებით მიხსენიებდეს... თქვენ მაინც შეიტანეთ ამ საერთო ზეიმში სხვა კილო, თუნდაც მარტო სხვადასხვაობისათვის...

— მე ვალდებული არა ვარ;—განვაცხადე მე გულმოსულად,—რომ ვსწერო ისე, როგორც ეს თქვენ მოგეპრიანებათ.

—ნუთუ, თქვენ არ იცით, რომ სილამაზე სიმახინჯის ფონზე ფასობს ხოლმე და არა განყენებულად. თუ არ არის სიმახინჯე, სილამაზეც ნულია...

ეს იყო ის მოსაზრება და ის უკანასკნელი გასროლა, რომელმაც საბოლოო გარდაწყვიტა წერილის ბედი.

— სილამაზე სილამაზისათვის!... ვამტკიცებდი მე.

— სიმახინჯე სიმახინჯისათვის, უმატებდა ირონიით ჩემი მოკამათე და ამტკიცებდა თავისას.

არც ერთი იოტის ოდნავადაც არ ვუთმობდით ერთმანეთს, თუმცა ჩემმა სტუმარმა ბევრჯერ მიჩვენა მუქარით თავისი რქები და კუდი.

მე მაინც ურყევლად დავრჩი ჩემს პოზიციებზე.

ბოლოს, როდესაც მამლებმა მესამედ იყივლენ, მან უიმედოთ ჩააქნია ხელი და გაბრაზებული გავარდა ოთახიდან.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რამის დაწერა შეუძლებელი იყო.

აი, მოქალაქენო, ეს იყო მიზეზი, რომ „ტარტაროზი“-ს ორი წლის თავის აღსანიშნავად შეკვეთილი წერილი დაუმთავრებელი დარჩა, და ძილთან ერთად დაიღუპა მიცემული პატიოსანი სიტყვაც...

სინტო.

## უწყლობა ქუთაისში
### არქიელის მთაზე



არქიელისა გორაზე
არ არის წვეთი წყალიო.
ქვემოდან ეზიდებიან
მცხოვრებნი აქ საწყალიო.
კიბეზე ფეხი თუ დაცდა,
მაშინ ვა შენი ბრალიო...
შინ მიტანილი სიმწრითა
ცოტ-ცოტა უნდა დალიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმაური არაფერზე

არის ხალხი
რომელთაგან
გაიგონებთ ასეთ რამეს:
ყორანს ვერვინ გაათეთრებს,
გაათენებს ვერვინ ღამეს;
ათასობით როგორ ხარჯავ,
თუ ჯიბეში არ გაქვს ფული,
თუ არ გინდა,
რომ გამსახლში
დაგიწვრილდეს შემდეგ გული.
ან წამალი როგორ მოგკლავს,
თუ ახლოს არ გაიკარებ,
სახლის პატრონს
როგორ აქებ,
თუ ჩაგიკეტს
ერთს დღეს კარებს...
ასეთ რამეს ბევრი იტყვის,
დაიჯერებს უფრო მეტი,
მაგრამ მოდი,
ამ ცხელ გულზე
ჩვენ ამბავი მოვყვეთ ერთი.

—

ერთ ეზოში, ქუჩის პირას,
(რომელ ქუჩის, სულ ერთია)
ფარდულის ქვეშ
იყო რაღაც
(სჩანს ქურდსაც ვერ წაეთრია)
წაეფარათ ზედ რაგოჟა,
აშინებდენ ვითომ ავდარს
და დღედამღამ
წვიმა-თოვლში
შიგნით ქარი უბერავდა
და ლპებოდა იგი რაღაც,
არვინ იყო გამკითხავი,
სჩანს არ ქონდა
გულგრილ პატრონს
ამ საქონლის მოვლის თავი...
მხოლოდ ერთხელ,
ვიღაც ბედშავს,
დარჩენოდა მასზე თვალი
(ალბად იყო კიდევ ხამი,
ან, ვინ იცის, იქნებ მთვრალი).
დრო ეხელთა,
როცა მთვარე
მიმალულა ცაში ალბად,
და ღობეზე ბაცაცივით
ასულიყო იგი სწრაფად.
რა შეემთხვა შემდეგ იქ მას
ეშმაკმა და ღმერთმა იცის.
მხოლოდ მთვარე
ძლივს-ძლივობით
იკავებდა თურმე სიცილს.
ყველაფერი რიგზე დარჩა,
როგორც იყო, და დღეს არის,
მხოლოდ ღობეს ამშვენებდა
მთელი შარვლის ნახევარი.
განვლო წელმა.
იმ ეზოსთან
(სჩანს ასეთი იყო ბედი)
ჩაიარა ვიღაც ვაჟმა
ქოჩორით და მკაცრი ხედვით.
თითქოს იგრძნო
რაღაც ცუდი,
გადაავლო ეზოს თვალი,
და აინთო მის ხედვაში
აღშფოთების მწვავე ალი.
ლპება—ხმება... ნიავდება...
პატრონი კი
არ სჩანს არსად,
ო, ასეთი გულგრილობა
დაუჯდება იმას ფასად!..
შარვლის ნაგლეჯს ყურადღება
წუთითაც არ მიაქცია,
და ნანახი
ას საჟნიდან
მოხსენებათ მან აქცია.
ეს კარგია, ძლიერ კარგი...
ვინ ამბობს, რომ
არის ცუდი,
მაგრამ ღირს, რომ
ას საჟნიდან
მოუქნიო მუხას ცულდი?..
მოხსენება იგი ვაჟმა
წარუდგინა თავის უფროსს,
წაიკითხა იგი იმან
და აღშფოთდა
ვაჟზე უფრო.
ილუპება, ნადგურდება,
მივეშველოთ, აბა, რაღა...
და გამგეებს, მოადგილეს
კაბინეტში დაუძახა.
გადასწყვიტეს ბოლოს ასე:
პატრონი თუ არ სჩანს არსად,
ჩვენი იყოს ის ქონება
გავასაღებთ ჩვენ მას ფასად.
და საერთო სიხარულით,
ის დღე სხვა დღეს
როდი გავდა,
რომ ქონება უპატრონო
არ დალპა და განიავდა.
მაგრამ, დახეთ,
ბედისწერა
მოელოდა ამ დროს თურმე,
და სხვა ოინს უმზადებდა
შემოხიზნულ სახლში სტუმრებს.
არ გასულა
ერთი დღეც კი,
ცეცხლა შექნეს ყველგან ხმებმა,
რომ ერთ ქუჩის
ერთ ეზოში
საქონელი ლპება, ხმება...
გულგრილობა საშინელი,
და პასუხის
შემდეგ გება,
და უწყებათ მთელი რიგი
ამ ხმებისგან
ფეხზე დგება.
აშრიალდენ ქაღალდები,
ხელი მიქრის,
ხელი ელავს,
და დარაჯი სამელნეში
ყოყველ წუთში
ასხამს მელანს.
და სულ რაღაც
ორ-სამ დღეში,
მიმოწერის დადგა მთები
ყოველმხრით და ყველას მიმართ
დაიგზავნა მიმართვები.
დაღვრემილი ზის უფროსი,
უყურებ და თვალწინ დნება,
ამბობს იგი გაბრაზებით:
ან მე ან და ის ქონება!..
ქაღალდები კი ცვივიან,
თითქოს წარღვნის
წვიმა ასხამს.
ყველა ამბობს, რომ ქონება
მათ ეკუთვნით
და არა სხვას.
მოყავთ თავი,
მოყავთ მუხლი,
დეკრეტების მთელი რიგი,
ერთს მთლად ჩამწვარს
მოყავს კანჭიც,
კინკიბა და კუდის რიკი.
(ნუ იფიქრებთ, თითქოს ვტყუით,
ეს სწერია თეთრზე შავად,
მართლაც თუა
თავი, მუხლი
კანჭმა რაღა დააშავა).
და გაჩაღდა
მკაცრი ომი,
ვინ ვის ებრძვის
არვინ იცის
სიმწრისაგან თმას უფროსი
თითოთითოდ იგლეჯს, იცლის...
ბოლოს როდის,
როდის, როდის,
მადლობ კიდევ
„სუდის“ გამჩენს,
გადასწყვიტა მოსამართლემ
რომ ქონება პირველს დარჩეს.
(ვინც სიმართლეს
მისდევს ხოლმე,
სასამართლოც იმისია)
და ქონების მისაღებად
დაინიშნა კომისია.
რამდენისგან, სულერთია,
ხუთი, შვიდი,
რვა თუ ათი,
მეორე დღეს იმ ეზოსთან
მისრიალდენ ჩქარ ფიატით.
შარვლის ნაგლეჯს
არც შეხედეს
ეს სცალოდა მისთვის მაშინ,
ფარდულისკენ გაეშურენ
პორტფელების ფრონტის გაშლით,
გადმოაგდეს ძირს რაგოჟა,
ნაწვიმარი, ნამტვერები,
და მათ თვალწინ
დარჩა მხოლოდ
ძველ კრამიტის ნამტვრევები...
და დაასკვნა კომისიამ,
რომ არა ღირს ტყავი ქურქად,
და ავტოში ჩასხდენ ისევ
რისთვის იდგეს
იგი უქმად...

—

კრამიტთან კი,
ფარდულს უკან,
ეგდო ქვაბი და მანქანა,
და მათი კი არსებობა
დავიწყოდა მთელ ქვეყანას...

**სინემატო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევარსი როხროხაძე







## ზაჭესი

— ყოჩაღ, ყოჩაღ მე და ჩემმა ღმერთმა—არ მეგონა, თუ მართლა გააკეთებდენ ზაჰესს—აღტაცებით ამბობდა ლევარსი, როცა ხედავდა რომ ყველა ქუჩები გადათხარეს და მართულები გაიყვანეს ყველგან ზაჰესისათვის.

ლევარსი ბევრ ალაგას ნახულობდა ბუტკებს და რკინის განიერ ბოძებს, რომლებზედაც გამოხატული იყო თავის ქალა ასეთ წარწერით: სასიკვდილოა.

— ეს კარგია, ხალხი გაუფრთხილდება და არ გაეკარება, მაგრამ ჩიტებს რაღა ეშველებათ? ჩიტები დაჯდებიან ელექტრონის მავთულებზე და ყველა დაიხოცება... არა, რამე უნდა გამოვიგონოთ მათვის გამაფრთხილებელი ნიშანი—ფიქრობდა ლევარსი.... და კიდეც გამოიგონა:

— რათა აცილებულ იქნას თავიდან ჩიტების უბედური შემთხვევა, ამიტომ საჭიროა ელექტრონის მავთულზე ჩამოიკიდოს პატარა აბრები, რომელზედაც დახატული იქნება კატა. ჩიტებს კატის ეშინიათ და ამიტომაც არ ჩამოჯდებიან მავთულებზე, რითაც თავიდან აცილებული იქნება ჩიტების უბედური შემთხვევა.



მთელი თბილისის გასანათებლად ფუნიკულიორიდან პირდაპირ გაღმა გორაზე უნდა გაიბას მავთული, რომელზედაც ჩამოიკიდება ვეებართელა ელექტრო ლამფა უამრავი სანთლების ძალით. ეს ლამფა შესცვლის როცა საჭირო იქნება ქალაქისათვის მზეს და მთვარეს.

ზმუკი.

# ტფილისის სადგურში



**დამტარებელი** (მგზავრს, რომელსაც ხელში სამიოდე პატარა ნივთი უჭირავს): მოქალაქე, სამი ნივთის ხელში დაჭერა და მატარებელზე გასვლა აკრძალულია, არ შეიძლება; ჩვენ უნდა გადმოგვცე გასატანად.
**მგზავრი** (უჩვენებს წინ მიმავალ მგზავრს, რომელსაც ძლივს მიაქვს ვეებერთელა მოკრული): კი მაგრამ ის მოქალაქე თუ იმოდენა მოკრულით გაუშვით?!!
**დამტარებელი**: მას ერთი მოკრული მიაქვს, თქვენ კი სამი.

# მოულოდნელი უბედურება

— ობოლო, შენ იუმორისტული რამე უნდა წაგვიკითხო ჩვენს პოეზიიის საღამოზე. „ტარტაროზში“ რომ სწერ აი ისეთი რამე—ასე მითხრა იმ ყმაწვილმა, ეხლა რომ კულისებიდგან უყურებს ჩემს უბედურებას.

— კაი შენს ცხვირს მოუვა, კაი სასაცილო შენ წაგიკითხო: სასაცილო კი არა, თაგვები შიგანსა იგლეჯენ ჩემსას შიმშილისაგან და რა მეცინება შე ოჯახ აშენებულო.

— კაი, კაი, ნუ დეიწყე ვაჭრობა. ერთი საათის საქმეა, აფიშები მზად გვაქვს, შენც ხარ გამოჭიმულიო—მომახალა და წასვლას აპირებდა, მაგრამ გავაჩერე.

— შენ, ჩემო ძამია, ლაყეთ ხომ არ ხარ გოგრაში? სადური მასხარა მე მნახე, რომ საქვეყნოთ გინდა გამომლანძღო?

— მასხრობაა, ბიჭო იუმორისტობა?!—შენ უვიცი ყოფილხარ! შენ მე დამიჯერე, დასწერე რამე, წაიკითხე საღამოზე, გამოერჩვიე და ნახე როგორი იუმორისტი გამოხვიდე. ისე შემაქო, იმდენი მალაპარაკა, რომ გასათხოვარ ქალსავით ამითამაშა გული.

— მას რომ მოვშორდი, დავფიქრდი:—რაც იქნება და იქნება! მოდი, რასმეს დავწერ, გამოვალ სცენაზე და წავიკითხავ. რაც უნდა გლახა იყოს, ეს კი ვიცი, რომ იქ ვერავინ ამომივარდება და მცემს და სხვა რა მენაღვლება,—გავიფიქრე და თავში ავათამაშე აზრები დასაწაერ თემის მოსანახავათ.

— დღეს მთავარი ყურადღება ჩინეთის ამბებზე და ოპოზიციის გამოსვლებზეა... თუ რამეს დავწერ, ამ ორ საგანზე უნდა დავწერო.

ჩან-ძო-ლინ, საიო-ჩაიო, სუან-ჩუან, შანხაი-მანხაი, ჩან-კოუ-ჩან. ჩან... ჩინ... ჩუ... ოხ დასწყევლოს ეშმაკმა; ამდენი ჩანი-ჩინი-ჩუ სწორედ დამღუპავს და ჩინეთის ამბებს თავი დავანებე. დამჩა ოპოზიცია.

— შენ ოხერო ჩემო თავო, რა ეშმაკად გინდა შაირის ატეხა? რა შენი საქმეა პოლიტიკანობა? ვინც გაიმარჯვოს, მას უთხარი გამარჯობა, დაანებე თავი ოპოზიციასაც და პოზიციასაც.—ამ ფიქრებში რომ ვიყავი, რაღაცამ ჩამწივლა ყურში:

ბიჭო, ხულიგნობაზე დასწერე, ხულიგნობაზე.

— ალბად აგია იგი მუზა ყველა პოეტებს რომ ვირის ჩოჩორივით მიჩანჩალებს უკან და დასაწერ მასალას აჩრის გოგრაში!—ვთქვი ჩემთვის და მოვუჩქარე სახლისაკენ, მრო ეს თემა არ დავიწყებოდა.

— სწორედ რომ დიდი იუმორისტი შემიძლია გავხდე, სულ ადვილად შემიძლია გავახუნო თუნდაც აჭარისტანის რესპუბლიკის სახალხო მსახიობი და კარგი იუმორისტი ჩვენი ვასო ურუშაძე. საწყალო ვასო, რომ იცოდეს ეხლა მე ვიქნები მისი მეტოქე, მგონია აღარც დაეძინოს დარდით, არა დიდი მომავალი მექნება. დიდ.... აქ არ დამითავებია აზრი, რაღაცას ისე მაგრად დავეტაკე, რომ თვალები დამიბნელდა და შუბლზე მაგარი მორტყმა ვიგრძენი.

— ნახალ, ხულიგან, მერზავეც, სვოლოჩ, ნეგადაი—მილოცავდა ვიღაცა კოპწია ქალი და თანაც მიწაზე სარკის ნატეხებს ჰკრეფდა. როცა გამოვერკვიე,—მივხვდი, რომ ფიქრში გატაცებულს ვერ შემემჩნია პატივცემულ სხეულის ჩემს პირდაპირ წამოსვლა და სწორად იმ დროს დავტაკებოდი, როცა ის, თურმე, პორტფელის სარკეში იხედებოდა. სარკე ჩემს შუბლს მოხვდა, მიწაზე დავარდნილიყო, დამტვრეულიყო, მაგრამ არც ჩემ შუბლს ადგა კარგი დღე.

— ჩტო ტი დურაკ! უ ტებია გლაზა ნეტ ჩტოლი?

— კაკოი ნეტუ მადამ, უ მენია დვა გლაზა სრაზომ ესტ, მივაყარე ჩემი რუსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაწამაწია
## ნაგომარში



**მგზავრი: მიშველეთ! გამხლიჩეს**

— ახ, ტი ხულიგან, ნე სმოტრიშ კაგდა იდიოშ—უარესად გაკაპასდა.

— კაკოი ნე სმოტრიმ მადამ?! ესლი ია ნე სმოტრიმ, პაჩემუ ვი ნე სმოტრიშ, ესლი ია გოლოვა ვამ პრიამო ნაპრავილ, პაჩემუ ვი ტოჟე ვაში მენე ნაპრავილი და პრიამო გოლოვო სტუკნული,—ამოვყარე რაც რუსული მქონდა ჩემოდანში.

— რა უზრდელი ყოფილა—ჩაილაპარაკა ქართულად და საშიშრად შემომბღვირა .

— უკაცრავად, ქალბატონო, მე თქვენ რუსი მეგონეთ რომ რუსულად ლაპარაკობდით... ბოდიშს ვიხდი, მაპატიეთ.—

— მერმე ვითომ რაო, რუსი რომ ვიყო, უნდა დამეტაკო?

— თქვენი დატაკება ღმერთმა დამიფაროს, ბატონო, მაგრამ მე თუ დატაკება მომიხდა თქვენზე, თქვენ შეგეძლოთ აგეცილებიათ, გვერდი აგევლოთ.

— მე სარკეში ვიხედებოდი, თმებს ვისწორებდი.—უფრო რბილად მითხრა მან.

— შენ დალოცვილო, ჩემი თავი ხომ არ გეგონა ტუალეტის მაგიდა რომ ზედ სარკეს დადგმა განიზრახე!

— ხა-ხა-ხა-ხა—ჩაიკისკისა სკოლის ზარასავით მან,—მართლა, ძლიერ გეტკინათ?!

— მეტკინა რომელია ბატონო, ტკივილს ვინ ოხერი ჩივა, რომ აკადემიურ თეატრში, საიუმორისტულო განყოფილებაში წასაკითხად დასაწერი აზრები არ გაგეფანტათ ჩემს თავში!

— თქვენ იუმორისტი ხართ?—ეხლა უფრო მოლბა და ახლოს მოიწია.

— ვარ რომელია, ვარ კი არა, ხვალ საღამოს აკადემიურ თეატრში მოწვეული ვარ... მართლა, იმედია მობრძანდებით, მე გპატიჟობთ.—ვუთხარი ამაყად.

— გმადლობთ, მე მუდამ დავდივარ ხოლმე თეატრში. ერთსაც არ დავკლებივარ. თქვენ კი არა დროს თეატრში არ მინახავხართ!

— მე? თეატრში? ვერც მნახავდით; მე მხოლოდ იმ დროს მოვდივარ, როცა გამოსვლა მიწევს და აბა სცენაზე თქვენ რას შემნიშნავდით.

— მართლა?! ეხლა კი გიცნობთ, კიდევაც მინახავხართ, თქვენ ვასოს გეძახიან მგონია? (ვასო ურუშაძეთ მიმიღო).

— ვასოს? (აქ ცოტა არ იყოს დავიბენი, მივხვდი, რომ ვასო ურუშაძეზე ამბობდა, მაგრამ ვერ მომეხერხებია ამ მდგომარეობიდგან გამოსვლა). დიახ! ვასოს მეძახიან, თუმცა მე კი ვასო არა მქვია... მაშ თქვენ მობრძანდებით? ნახვამდის, მეჩქარება,—ერთათ მივახალე სიტყვები რომ კიდევ ისეთი შეკითხვა არ მოეცა და ჩემს უბედურობაში არ დარწმუნებულიყო.

სახლში რომ მოვედი, ცოლი კაპასობდა.

ჩემი გოგონა მოვიდა და მითხრა:

— პაპა, აი ნაქე მე ლა კარლი ჯოხი გავთალე—და ჩემი კალმის ტარი დანით დაჩიგნილი და კალამ-წამომძვრალი მაჩვენა.

— შეგარცხვინა, შვილო, ღმერთმა—ვუყვირე მას და კედელზე მივანარცხე.

---

დღევანდელი დღე რომ გათენდა, ახალ ჯვარდაწერილ დედოფალსავით ამიფართხალდა გული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დედოფალს უხარია, და მე კი, წინააღმდეგ—მეშინოდა.

კულისებში რომ შევიპარე, სულ კანკალი ამივარდა. ვასო ურუშაძემ რომ შეიტყო მე ვიყავი ამაღამინდელი იუმორისტი, იმის ნაცვლად რომ შური აღძროდა, სიცილი აუარდა; როგორც სახეზე შევნიშნე, მას ჩემი მდგომარეობა უფრო აცინებდა. გამოსვლის დროც მოახლოვდა და ჩემმა დამლუპელებმაც დამიწყეს დაიმედება.

— ნუ გეშინიან, გაბედე, რაც უნდა გლახათ გამოვიდეს, ტაშს მაინც დავაკვრევინებთ ხალხს.

გამოსვლით კი გამოვედი, მარა რაც წასაკითხი და მოფიქრებული მქონდა, სულ დამავიწყდა და აბა ეს ჩემი თავგადასავალი მე რას მაძლევს რომ თქვენ გახეიროს?!

ისე თავი გაუტყდეს მაგენს, მე სახელი გამიტეხეს, მაგრამ სულ არაობას ისევ გატეხილი მირჩევნია.

მაცხოვარმა აყეფოს მაგენის სული ჯოჯოხეთში, მე მაგენმა უბედურობა წამიკიდეს.

პ. ობოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტბ. ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.